

(№2 ოქმს თან ერთვის სხდომის ჩანაწერი)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2010 წლის 10 დეკემბრის სხდომის
ოქმი №2

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 36 წევრიდან, ესწრებოდა 34. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – წარმომადგენლობითი საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ – მომხსენებელი სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სპიკერი: რეგლამენტის თანახმად უნდა ავირჩიოთ წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი. აღნიშნულ თანამდებობაზე ვასახელებ სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტუდენტს თამარ ბუზიაშვილს. თამარი სწავლობს წარჩინებით, მას ახასიათებენ, როგორც აქტიურ და წარმატებულ სტუდენტს. გათვალისწინებული იქნა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს 12 წევრი სტუდენტია. თქვენ შეგიძლიათ შემოგვთავაზოთ სხვა კანდიდატურა, ჩვენ შეზღუდულები არ ვართ.

პროფ. იგორ კვესელავა: თამარ ბუზიაშვილს სტუდენტური თვითმართველობა ახასიათებს დადებითად.

ირაკლი გაბისონია (სტუდენტი): სტუდენტები მხარს ვუჭერთ აღნიშნულ კანდიდატურას და მივესალმებით ასეთ გადაწყვეტილებას.

საბჭომ სხდომის მდივნად ერთხმად აირჩია სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტუდენტი თამარ ბუზიაშვილი.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ – მომხსენებელი სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სპიკერი: მოგახსენებთ ცვლილებებს რეგლამენტში:

11.2 წარმომადგენლობითი საბჭო ქმნის შემდეგ მუდმივმოქმედ კომისიებს:

- ა) საპროცედურო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია;
- ბ) საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია;
- გ) სასწავლო-სამეცნიერო და კადრების ოპტიმიზაციის საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია;
- დ) სოციალურ, კულტურის და სპორტის საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია.

11.3 წარმომადგენლობითი საბჭო თითოეული კომისიის შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, არა უმეტეს კომისიის უფლებამოსილების ვადით, ღია კენჭისყრით, წარმომადგენლობითი საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით შესაძლოა აირჩეს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მერაბ ახობაძე: ძალიან ამბიციურია სიტყვა “ოპტიმიზაცია”.

იგორ კვესელავა: ჩვენ გვსურს ყურადღება გავამახვილოთ სამეცნიერო კადრებზე, თუ რამდენად კვალიფიციურია და რამდენად ხარისხიანია ისინი. გავიგოთ, რა კეთდება და რამდენად ხარისხიანია ეს სამუშაოები.

სპიკერი: თუ წინააღმდეგნი ვართ მის მუდმივმოქმედ კომისიაში დაფიქსირებაზე, გთავაზობთ ამ საკითხთან დაკავშირებით შეიქმნას დროებითი კომისია.

პროფ. დავით ჯაფარიძე: პრობლემა აქტუალურია, მაგრამ ეს საკითხი უფრო საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის პრეროგატივაა. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით შესაძლებელია შეიქმნას დროებითი კომისია, როგორც კი ამის საჭიროება წარმოიშობა.

პროფ. აგული სოსაძე: ვეთანხმები ბატონ დავითს, სადაც ბიუჯეტზე მუშაობენ, იქ უნდა განიხილონ კადრების პრობლემაც.

სპიკერი: კომისიის სახელწოდება ჩამოვაცალიბოთ შემდეგი ფორმულირებით – "სასწავლო-სამეცნიერო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია". არის კიდევ ერთი ცვლილება რეგლამენტში, რაც კომისიების თავმჯდომარეების არჩევას შეეხება. რეგლამენტის გათვალისწინებით კომისიების შემადგენლობებს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო, ხოლო კომისიის თავმჯდომარეებს ირჩევს კომისია.

ვფიქრობ, ჩვენი საბჭოს როლი უფრო მეტად გაიზრდება, თუ კომისიის თავმჯდომარეებს აირჩევს წარმომადგენლობითი საბჭო.

მერაბ ახოზაძე: ხომ არ სჯობია, სპიკერმა შესთავაზოს კომისიას თავმჯდომარის კანდიდატურა?

ზვიად კოვზირიძე: ბატონი მერაბი მართალია, სპიკერმა უნდა წარმოადგინოს კომისიების თავმჯდომარეების კანდიდატურები და ჩვენ განვიხილავთ.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ხომ არ იზღუდება წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებები? ყველას უნდა ჰქონდეს კანდიდატურის წამოყენების უფლება.

ირაკლი გაბისონია(სტუდენტი): სპიკერიც არის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი და, ვფიქრობ, ხაზგასმა არ არის საჭირო, ყველას უნდა ჰქონდეს თავისი კანდიდატურის დასახელების უფლება, სამართლებრივად უფრო სწორია.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 10 დეკემბრის №2 სხდომაზე სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტში შესატანი ცვლილებები შემდეგი რედაქციით:

11.2 წარმომადგენლობითი საბჭო ქმნის შემდეგ მუდმივმოქმედ კომისიებს:

ა) საპროცედურო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია;

ბ) საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია;

გ) სასწავლო-სამეცნიერო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია;

დ) სოციალურ, კულტურის და სპორტის საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია.

11.3 წარმომადგენლობითი საბჭო თითოეული კომისიის შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს არაუმეტეს კომისიის უფლებამოსილების ვადით, ღია კენჭისყრით, წარმომადგენლობითი საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით შესაძლოა აირჩეს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

12.14 მუხლი ამოღებული იქნა რეგლამენტიდან.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობების და თავმჯდომარეების დამტკიცების შესახებ – მომხსენებელი სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სპიკერი: წარმოგიდგენთ წარმომადგენლობითი საბჭოს კომისიების შემადგენლობებს (იხ. დანართი 1) და გთავაზობთ საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ – პროფ. დავით ჯაფარიძეს, საპროცედურო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ – პროფ. ჯემალ ბერიძეს, სასწავლო-სამეცნიერო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ – პროფ. იგორ კვესელავას და სოციალურ, კულტურის და სპორტის საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ – პროფ. დავით ნოზაძეს. საბჭოს წევრებს ხომ არა აქვთ სურვილი დაასახელონ კომისიების თავმჯდომარეთა სხვა კანდიდატურები? ასეთი არ არის.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობების და თავმჯდომარეების დამტკიცების შესახებ. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 10 დეკემბრის №2 სხდომაზე სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის მიერ წარმოდგენილ იქნა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობის დამტკიცების საკითხი.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობა (იხ. დანართი 1).

ბ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 10 დეკემბრის №2 სხდომაზე სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა წარმოადგინა წარმომადგენლობითი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის, საპროცედურო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის, სასწავლო-სამეცნიერო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის და სოციალურ, კულტურის და სპორტის საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეების კანდიდატურები.

საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცდა პროფ. დავით ჯაფარიძე, საპროცედურო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ – პროფ. ჯემალ ბერიძე, სასწავლო-სამეცნიერო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ – პროფ. იგორ კვესელავა და სოციალურ, კულტურის და სპორტის საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ – პროფ. დავით ნოზაძე.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი